პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 46-ე წელი. № 172 (13257) | პარასკევი, 23 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

## პურის ყანებში

წელს პურეულის მოსავლის აღებაზე ორგანიზებულად შრომობენ გარდაბნის რაიონის მხვნელ-მთესველები. განსაკუთრებით ისახელეს თავი კომბაინერებმა. მათ ფართოდ გაიჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ტიბაანელი (სიღნაღის რაიონი) კომბაინერის ს. ბეჟანიშვილის მაგალითისამებრ.

ბევრმა საბჭოთა მეურნეობამ და კომბაინერმა თავი გამოიჩინა მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის ბრძოლაში. ამ მრივ აღსანიშნავია ავჭალის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მუშაობა. მეურნეობას თავთავიანი მარცვლეული კულტურები დათესილი აქვს 500 ჰექტარზე. კარგად მოუარეს ნათესებს და მოსავალიც უხვია.

მეურნეობაში პურეულის მკა სულ მალე დამთავრდება. წინასწარი მონაცემებით საშუალოდ ჰექტარზე 22 ცენტნერ ხორბალს იღებენ. მკაში დაწინაურდა კომბაინერი ბ. ბოგოვაური. იგი დღეში უდანაკარგოდ იღებს 12 ჰექტარს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა. სურათზე თქვენ ხედავთ კომბაინერ ბ. ბოგოვაურს და ბუნკერიდან გადმოსულ „ოქროს“ მარცვლის ხვავს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

# უდანაკარგოდ აეღოთ მოსავალი!

## პური — სახელმწიფოს!

### ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონების მინდვრის მუშრომელთა გამარჯვება

— წელს ბეჯითად იშრომეს ლაგოდეხის რაიონის მშრომელებმა და შედეგიც კარგია, — განაცხადა საუბარში საქართველოს კპ ლაგოდეხის რაკომის პირველმა მდივანმა ვ. უნგიაძემ. — თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება შემჭიდროებულ ვადებში დამთავრდა. ლაგოდეხელებმა თავი გამოიჩინეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მოყიდვაში. გეგმით გათვალისწინებული 1.860 ტონა ხორბლისა და ქერის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 2.160 ტონა. აქედან სახელმწიფოს ხორბალი მიეყიდა 2.014 ტონა ნაცვლად 1.750 ტონისა.

**უარსუბნის** გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 150 ტონა ხორბალი ნაცვლად 100 ტონისა. **ცოდნისკარის** ძერკინსკის სახელობის კოლმეურნეობამ 170 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 205 ტონა, **ნინოგორის** კოლმეურნეობამ 120 ტონის ნაცვლად 162 ტონა. **ბაბუკიანის** ჯაკუბაძის სახელობის კოლმეურნეობას სახელმწიფოსათვის მიყიდული აქვს 165 ტონა ხორბალი ნაცვლად 130 ტონისა.

ლაგოდეხელები განაგრძობენ სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვას.

— **ყვარლის** რაიონის მხვნელ-მთესველებმა ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხორბლის მიყიდვის წლიური გეგმა, — გვაცნობეს პარტიის ყვარლის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ზაუტაშვილმა**, ყვარლის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. დავითაშვილმა** და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **მ. მარდალეიშვილმა**. — გეგმით გათვალისწინებული 950 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიეყიდა 1.900 ტონა პურეული. სომინდის ინგარიშში გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდეს 950 ტონა ხორბალი.

პურეულის აღებასა და სახელმწიფოსათვის ხორბლის მიყიდვაში ბეერმა კოლმეურნეობამ ისახელა თავი. შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 288 ტონა ხორბალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ტონისა. **გავაზის** ეხეგელსის სახელობის კოლმეურნეობას სახელმწიფოსათვის გეგმით უნდა მიეყიდა 80 ტონა ხორბალი, ფაქტიურად მიჰყიდა 210 ტონა.

სოფელ **ჰიკიანის** მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 141 ტონა ხორბალი. გეგმა კი 40 ტონას ითვალისწინებდა. **ახალსოფლის** ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 150 ტონა ხორბალი ნაცვლად 40 ტონისა.

ყვარლელებმა გადაჭარბებით შეასრულეს აგრეთვე სახელმწიფოსათვის ჯიშიანი ხორბლის თესლის მიყიდვის გეგმა.

## შირაქი ჩვენი ბელელია

ჩვენში ძველთაგანვე ასეა. კაცი გზაში პურის ნატეხს თუ ნახავს, ზედ არ გადაბიჯებს. ან აიღებს ან ისეთ ადგილზე დადებს, სადაც ვინმე ნახავს და გამოიყენებს. ასეთი მოკრძალება და სიყვარული ადამიანს თვით პურის მოყვანაზე გაწეულმა ჯაფამ და შრომამ შთაგაგონა. ეს ხალხური სიბრძნე კარგად იციან ზემოქედელმა კოლმეურნეებმაც.

პურის მკა შირაკში მთელი ძალით გაჩაღდა. 4.000 ჰექტარიდან უკვე მომკილი გვაქვს 800 ჰექტარი. ჰექტარზე 20 ცენტნერ მარცვალს ვიღებთ. ზემოქედელმა კოლმეურნე მექანიზატორებმა სიღნაღელი კომბაინერის ს. ბეჟანიშვილის პატრიოტული თაოსნობის პასუხად პირობა დადეს მოსავლის აღება 12 სამუშაო დღეში დაამთავრონ. ყოველდღიურად ოცი კომბაინი მკის. სოფელ ჯიბრებაში კომბაინერი კ. ქველიძე დაწინაურდა. იგი დღეში 20 ჰექტარზე იღებს პურეულს.

მიმდინარე წელს სახელმწიფოს გეგმით 1.500 ტონა მარცვალი უნდა მივყიდოთ. ამ დავალებას შეასრულებთ. ასობით ტონა პური უკვე მივყიდეთ. ამასთან არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ წელს პირველად პური მოგებას მოგვცემს. გამოვიანგარიშეთ და სასიხარულო ციფრი მივიღეთ. ტონა მარცვალი დაახლოებით 60 მანეთი დაგვიჯდა. სახელმწიფო კი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე 90 მანეთს გვაძლევს. მოგება 30 მანეთს უდრის. ეს სახელმწიფოს დიდი დახმარებაა კოლმეურნეობებისადმი.

ა. კობაიძე,
წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

## მოგაუფრთხილდეთ ყოველ თავთავს!

რესპუბლიკის მინდვრებში მთელი ძალით გაჩაღდა პურეულის მკა. თუ აქამდე მემინდვრეები იმის ცდაში იყვნენ, რომ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით გაეფდებინათ მოსავლიანობა, ახლა მათი თავარი საზრუნავია ის, რომ შემოსული მოსავალი აიღონ სწრაფად და უდანაკარგოდ.

პურეულის მოსავლის აღება და მარცვლის დაბინავება რომ მეტად პასუხსაგები საქმეა ეს მემინდვრეებისათვის ანბანური ჭეშმარიტებაა. მაგრამ ფრიგო არ იქნება შევახსენოთ, რომ მოსავლის აღებას დაცდა არ უყვარს.

მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღების მიზნით სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერის **სიმონ ბეჟანიშვილის** ინიციატივით ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ტიბაანელი კომბაინერის ამ პატრიოტულ ინიციატივას რესპუბლიკის ახობით მექანიზატორი გამოეხმაურა. ინიციატორმა ვალდებულება კარგა ხანია დიდი გადაჭარბებით გაანაღდა. მისი მაგალითით პურეულის მკაზე თავდადებით შრომობენ წითელწყაროს, მარნეულის, გორის, ბაშურის, თეთრი წყაროს და სხვა რაიონების კომბაინერები. მინდრად შრომითი გმირობის ახალ-ახალ მაგალითებს გვიჩვენებენ წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კომბაინერი კ. ქველიძე. ჯაფარიძის კოლმეურნეობის კომბაინერები ა. იაკობიშვილი, გ. და ვ. სიმონიძეები, ზ. ზურაშვილი, გორის რაიონის ზედულეთის კოლმეურნეობის კომბაინერები გ. მარანელი და გ. ცერცვაძე, თეთრი წყაროს რაიონის ასურეთის კომბაინერი რ. ყრუაშვილი და ასობით სხვები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მარნეულის, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონების მინდვრის მშრომელთა სანაქებო საქმეები. მათ რესპუბლიკაში პირველებმა შეასრულეს ხორბლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმა. ახლა ამ და რესპუბლიკის სხვა რაიონების ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა ეურს გეგმის გადამეტებით ამარებენ.

თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება და დაბინავება, სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, აქტივისტების, ყოველი მშრომელის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. მათი ამოცანა ის არის, რომ ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რათა მოსავალი აიღონ შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ. სახელმწიფოს მისცენ მაღალხარისხოვანი მარცვალი. ამასთან არ უნდა დავიიწყოთ, რომ მომავალი წლის უხვი მოსავლისათვის აქედანვე უნდა ვიზრუნოთ. ნათქვამია, კარგი თესლი უხვი მოსავლის საწინდარიაო. სათესლე ხორბლის აღება და აგრონომიის დაცვით დაბინავება მემინდვრეთა სადღეისო საქმეა.

მოსავლის აღების საქმეში ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებში ნაკლოვანებებსაც ვხვდებით. ზოგან არ იცავენ მკის წესებს, კომბაინის შეშობრუნების დროს დარჩენილ თავთავებს არ მკიან, რაც მარცვლის დანაკარგს იწვევს. ეს დაუშვებელია. ყოველი თავთავისათვის ბრძოლა კომბაინერთა პირველი რიგის საზრუნავი უნდა იყოს.

დიდმნიშვნელოვანი და პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან აგრეთვე პუროპროდუქტების ბაზების ხელმძღვანელები, იქ მომუშავე მუშაკები. მათი ვალია შეუფერხებლად მიიღონ მარცვლეული, ამასთან არ დაუშვან სახელმწიფო ბეღლეში უხარისხო, ნედლი და გაუწმენდავი მარცვლის მიღება.

**მემინდვრეებო, მექანიზატორებო, დამაზადებლებო მუშაკებო!** ნუ დაივიწყებთ — ყოველი კილოგრამი მარცვალი, ყოველი თავთავი ადამიანის შრომითა და გარჯით არის მოყვანილი, გაუფრთხილდით მათ. **გახსოვდთ, მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია!**

## მომკილია 118.163 ჰექტარი

**ფართოდ** გაჩაღდა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. სულ რესპუბლიკაში 20 ივლისისათვის მომკილი იყო 118.163 ჰექტარი. კიდევ მოსამკელია 150.000 ჰექტარზე მეტი.

პურეულის მკა უკვე დაამთავრეს ლაგოდეხისა და ყვარლის რაიონებმა. **სიღნაღის** რაიონში მკის დაავადება შესრულებულია 79,9 პროცენტით, **გარდაბნის** — 78,8, **მარნეულის** — 76,8, **თელავის** — 70,6 **გურჯაანის** — 69, **წითელწყაროს** — 65,6, **ბოლნისის** — 61,7, **საგარეჯოს** — 56,5, **ახმეტის** — 57,4, **თეთრი წყაროს** — 50,3, **მცხეთის** — 41,6, **კასპის** — 34,2, **ხაშურის** — 31,3, **ქარელის** — 27,3, **გორის** — 24,3, **დუშეთის** რაიონში — 9,3, ხოლო **სამხრეთ ოსეთის** ავტონომიურ ოლქში — 10.5 პროცენტით.

## ბეჯითი ავჭომძღოლები

**ლენინგორის** რაიონის სოფელ არცევის მიაკოვსკის სახელობის კოლმეურნეობაში ორმა კომბაინერმა ექვს დღეში 100 ჰექტარზე აიღო ხორბალი.

მოსავლის აღების დღეებში დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დგანან ავტომძღოლებიც. ეს კარგად იციან ს. ბოიაევმა და ლ. კაჭიევმა, რომლებიც მარცვლეულისა და ნამჯის გაზიდვაზე შრომობენ.

ვ. საბანაძე.

სოფლკორი.

## კომბაინერთა შეჯიბრება

### დაწინაურებულნი

ვასტანგ ზაქიძემ დუშეთის რაიონის სოფელ ჭოპორტის კოლმეურნეობაში ექვს სამუშაო დღეში პურეულის მოსავალი 60 ჰექტარზე აიღო და ამით გეგმას 12 ჰექტარით გადაჭარბა.

ფირან ლალიაშვილმა შვიდ სამუშაო დღეში სოფელ ბაზალეთის კოლმეურნეობაში პურეულის მოსავალი მომკა 80 ჰექტარზე ნაცვლად 56 ჰექტარისა. ამავე კოლმეურნეობაში პარსენ დურგლიშვილმა 3 დღეში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღო 40 ჰექტარზე ნაცვლად 24 ჰექტარისა.

შალვა მაყაშვილმა ხუთ სამუშაო დღეში სოფელ მჭადიჯვრის კოლმეურნეობაში პურეულის მოსავალი აიღო 50 ჰექტარზე ნაცვლად 40 ჰექტარისა.

ასან მუშაშვილმა სოფელ შუახევის კოლმეურნეობაში ხუთ სამუშაო დღეში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღო 55 ჰექტარზე ნაცვლად 40 ჰექტარისა.

ნოდარ თინაშვილმა ოთხ სამუშაო დღეში სოფელ არაგვისპირის კოლმეურნეობაში პურეული მომკა 35 ჰექტარზე ნაცვლად 32 ჰექტარისა.

ნოდარ გაბაიშვილმა ორ სამუშაო დღეში ლენინგორის რაიონის სოფელ ებრევის კოლმეურნეობაში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი აიღო 25 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 ჰექტარისა; ამავე კოლმეურნეობაში კომბაინერმა მურმან გაბაიშვილმა — 24 ჰექტარზე ნაცვლად 16 ჰექტარისა.

## ჩვენი მეგობრობა მტკიცდება!

**გულითადობის**, მეგობრობისა და ძმობის ვითარებაში მიმდინარეობდა 21 ივლისს მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო კრება, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის 21-ე წლისთავს მიეძღვნა.

სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის კონფერენციდარბაზი მორთული იყო პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით, მისასალმებელი ლოზუნგებითა და ტრანსპარანტებით. პრეზიდიუმში იყვნენ საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, პოლონეთის პირველი არმიის ყოფილი სარდალი არმიის გენერალი ს. გ. პოპლავსკი, ფ. ე. ძერჟინსკის მეუღლე ს. ს. ძერჟინსკაია, სკკპ წევრი 1896 წლიდან, სოციალისტური შრომის გმირი ფ. ნ. პეტროვი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოველი ელჩი ედმუნდ პშჩულკოვსკი, პოლონეთის საელჩოს თანამშრომლები და სხვ.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. თ. დემენტიევამ.

იმის შესახებ, თუ როგორი მტკიცე მეგობრობა აკავშირებს საბჭოთა და პოლონელ ხალხებს, ილაპარაკეს ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ ოსტატმა ნ. ა. დრაჩმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სლავთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა ი. ა. ხრენოვმა, როსტოკის ბეჭვეულის კომბინატის ალკკ კომიტეტის მდივანმა ლიდია ლოსევამ.

კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოველი ელჩის ედმუნდ პშჩულკოვსკის გამოსვლას. (საკდესი).

## მოსკოვში ჩამოვიდა უგანდის პრემიერ-მინისტრი

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 21 ივლისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა უგანდის პრემიერ-მინისტრი დოქტორი აპოლო მილტონ ობოტე.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო უგანდისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, საპატიო სტუმრებს შეხვდნენ მშრომელთა წარმომადგენლები. აქ მოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი და სხვა ოფიციალური პირები.

შემხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობათა მეთაურები, ჟურნალისტები. (საკდესი).

### უგანდელი სტუმრის პატივსაცემად

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ 22 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა უგანდის პრემიერ-მინისტრის დოქტორ აპოლო მილტონ ობოტეს პატივსაცემად, რომელიც ოფიციალური ვიზიტით არის საბჭოთა კავშირში.

უგანდის პრემიერ-მინისტრთან ერთად საუზმეზე იყვნენ უგანდის სხვა სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებიც მას ახლავან სსრ კავშირში მოგზაურობის დროს.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ გ. ი. ვორონოვი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ნ. ნოვიკოვი, ი. ტ. ნოვიკოვი, კ. ნ. რუდნევი და სხვა ოფიციალური პირები.

სტუმრებს სიტყვით მიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დოქტორმა აპოლო მილტონ ობოტემ.

საუზმემ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

## უგანდის პრემიერ-მინისტრი ეწვია ა. ნ. კოსიგინს

**უგანდის** პრემიერ-მინისტრი დოქტორი აპოლო მილტონ ობოტე 22 ივლისს კრემლში ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

ა. ნ. კოსიგინსა და დოქტორ აპოლო მილტონ ობოტეს შორის გაიმართა გულთბილი, მეგობრული საუბარი. (საკდესი).

## სომალის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის დელეგაცია საბჭოთა კავშირში

**სსრ** კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ი. ვ. სპირიდონოვისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის ი. ვ. პეტროვის მოწვევით საბჭოთა კავშირში 1965 წლის 6-21 ივლისს ოფიციალური ვიზიტით იყო სომალის რესპუბლიკის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა ეროვნული ასამბლეის პრეზიდენტი ამედ შეიხ მოჰამედ ამსიე.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს დელეგაცია მოსკოვს გარდა იყო ეკატერინბურგში, ლენინგრადში, ალმა-ათასა და ყაზანში. სტუმრებმა ალტაცება გამოთქვეს საბჭოთა ხალხის მიღწევების გამო.

დელეგაცია მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა. გაიმართა საუბარი, რომელიც გულითადად და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. დელეგაცია აგრეთვე შეხვდა და ესაუბრა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეს ი. ვ. პეტროვს და სხვა ოფიციალურ პირებს მოსკოვსა და ლენინგრადში, აგრეთვე ლატვის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში და თათრეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში გამართული საუბრების დროს მოხდა აზრთა ურთიერთგაზიარება აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და სომალის რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

საბჭოთა კავშირისა და სომალის რესპუბლიკის პარლამენტარებმა კვლავ დაადასტურეს თავიანთი მისწრაფება განამტკიცონ საყოველთაო მშვიდობა, განავითარონ მეგობრობა და თანამშრომლობა ხალხთა შორის, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ ბრძოლა იმ ხალხთა ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიურ მონობაში იმყოფებიან.

პარლამენტარებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირსა და სომალის რესპუბლიკას შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა, რომელიც წარმატებით ვითარდება. (საკდესი).

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. მ. კ. მაღრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. მიხეილ პონდრატის-ძე მაღრაძე დაჯილდდგდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე**

**თბილისი, 1965 წლის 22 ივლისი.**

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ამხ. ვ. დ. თავდიშვილისა და გ. ს. ფიალაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდდგდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

**ვასილ დიმიტრის-ძე — მახარაძის რაიონის ძიმითის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.**

**ფილიპეს ბაბრიელ სიმონის-ძე — გარდაბნის რაიონის ლისის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე**

**თბილისი, 1965 წლის 22 ივლისი.**

## საქართველოს დედაქალაქი კოკისპირული წვიმით შეხვდა გუშინ კანადის პარლამენტის დელეგაციას. კანადელ პარლამენტარებს მიართვეს ყვავილები.

# კანადის პარლამენტარები საქართველოში

მაგრამ ურიგო არ იქნება შევახსენოთ, რომ ამ ბოლო დროს ალბანეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ბელგია, ბრაზილია, ბურმა, ეგვიპტე, ეთიოპია, ინგლისი, ირლანდია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, კამბოჯა, კანადა, ლაოსი, ლიბანი, ლიბია, ლუქსემბურგი, ნეპალი, ნიგერია, ნორვეგია, ავსტრია, პაკისტანი, პერუ, პორტუგალია, სომალი, ტანგანიკა, ტუნისი, ფინეთი, ფრანგეთი, ჩილე, ჩეხეთი, ჩინეთი, ეკვადორი

# პარტიის რაიკომი და ახალგაზრდობის აღზრდა

**თანამედროვე** ეტაპზე განსაკუთრებული როლი ეხება აღმზრდელობითს მუშაობას, რომლის მრავალმხრივი ფორმების შემოქმედებითად და ორგანიზაციულად გამოყენება განაპირობებს მომავლის მშენებელი ახალი ადამიანის სრულყოფილად ჩამოყალიბებას.

ის საკითხი, თუ როგორი იქნება ბავშვი, რომელიც ახლა სბა-ბავშვო ბაღში თამაშობს, მოსწავლე, რომელიც სასწავლო მერხს უზის, ან ის ახალგაზრდა, რომელმაც ეს-ეს არის გადადგა დამოუკიდებელი ნაბიჯი ცხოვრებაში, როგორი იქნება თვითეული მათგანის სულიერი სამყაროს და ზნეობრივი პრინციპები, მუდმივი და ყოველდღიური იდეალები, — ამავშად მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავია.

მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდაში პირველი სიტყვა პარტიას და პარტიულ ორგანიზაციებს ეკუთვნით. ამიტომ საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიონული კომიტეტის ბიუროს რეგულარულად მსჯელობს ახალგაზრდობის აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლე ახალგაზრდობას შორის მუშაობას, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საქმეს, მოსახლეობაში და განსაკუთრებით მშობლებთან პედაგოგიური ცოდნის პროპაგანდას, კოლეგიურული და პიონერული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, სახლმმართველობებს, ჟეხსა და სახლის კომიტეტებს მიერ ბავშვთა შორის მუშაობის საკითხებს და სხვ.

მარტო უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ახალგაზრდობის აღზრდის სხვადასხვა მტკივნეული და აუცილებელი საკითხების ირგვლივ რაიკომის ბიურომ 23-ჯერ იმსჯელა. ამავე საკითხებს მიეძღვნა აგრეთვე რაიონული კომიტეტის პლენუმი და რაიონული აქტივის კრება. საყოველთაო-საკალდებულო 8-წლიანი სწავლების შესახებ სესია ჩაატარა რაიონულმა საბჭომ. ერთი წლის მანძილზე რაიონს უკანდნა ყველა პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებში აღნიშნული საკითხები რამდენჯერმე იქნა შესწავლილი და განხილული შრომელთა ფართო მასების უშუალო აქტიურობითა და მონაწილეობით.

როდესაც ვლაპარაკობთ მოსწავლეთა აღზრდაზე, მხედველობაში გვყავს აგრეთვე სასკოლო მუშაობის ძირითადი რგოლი — კლასის ხელმძღვანელი. ამჟამად რაიონის სკოლების V-XI კლასებში 193 კლასის ხელმძღვანელია, რომელთა მოღვაწეობაზე, უნარზე, საქმისადმი გულისხმიერებასა და სიყვარულზე ბევრად არის დამოკიდებული მოსწავლეთა შორის აღმზრდელობითი საქმის ძაღალ დონეზე დაყენება. სწორად ამ საკითხების ირგვლივ იყო ლაპარაკი პარტრაიკომის ინიციატივით ამას წინათ ჩატარებულ კლასის ხელმძღვანელთა რაიონულ თათბირზე.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სკოლიდან გასვლის, ცუდი დისციპლინის, დაბალი აკადემიური მაჩვენებლების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენა. გამოელენილ იქნა მთელი რიგი ფაქტები, რომ ზოგიერთი პედაგოგი სისტემატურად არ აღრიცხავდა მოსწავლეთა დასწრებას გაკვეთილებზე, სასტიკად სოელიდა უმიზეზოდ გაცდენილ გაკვეთილებს და ასეთი გაუმართლებელი და უპასუხისმგებლო მოქმედებით გაკვეთილების გამცდენელ მოსწავლეთა ხელშემწყობის როლში გამოდიოდა. ამ მხრივ სეიროიზული დარღვევები იყო 23-ე საშუალო სკოლაში. რაიკომის ბიუროს დადგენილებით ბიუროს ყველა წევრმა, აპარატს ყველა მუშაკმა მოსწავლეობა მიიღო ამ საკითხის ირგვლივ სკოლებში სპეციალურად ჩატარებულ პედსაბჭოს სხდომებში. აღნიშნულ საკითხზე პედსაბჭოს სხდომებზე მოწვეულ ბრძანებულებად გამოვიდნენ პარტიის რაიკომის მდივნები. ეს საქმე აქ ახლა გამოკეთდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაიონში დიდიც უნდა იყოს სკოლის მნიშვნელობა ახალი ადამიანის აღზრდის საქმეში, ბავშვის აღზრდის პირველი კერა მაინც ოჯახია. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე არა ერთხელ აღნიშნულა, რომ აუცილებელია დავაცალოთ უნდაი შეცდომებისაგან ის მშობლები, რომლებიც ცდილობენ ბავშვების აღზრდის თავიანთი მოვალეობანი დააკისრონ სკოლას, ხოლო თავიანთი უპასუხისმგებლობის შედეგები — საზოგადოებრიობას. სახელმწიფოს და სკოლის აღმზრდელობითი როლის ამაღლება ორი ნიშნავს ბავშვის აღზრდისათვის ოჯახის პასუხისმგებლობის შემცირებას.

პარტიის რაიონულმა კომიტეტმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ბავშვის აღზრდისათვის მშობლთა პასუხისმგებლობის ამაღლების საკითხებზე. მიმდინარე წლის დასაწყისში ბიუროს თავის სხდომაზე მოისმინა საკითხი რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის მონაწილეობისა თავიანთი შვილების აღზრდაში. როგორც მოსალოდნელი იყო, აქტივის უმრავლესობა სწორად წარმართავს ბავშვების აღზრდას და მჭიდრო კავშირი აქვს საოჯახო დაწესებულებებთან. მათ შორის არიან მე-2 მექანიკური ქარხნის დირექტორი ვ. ჩიხლაძე, ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი ლ. ქავთარაძე, თბილისენერგომაღლის პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ჩხარტიშვილი, რაიმშმალარო უფროსი ი. სოხაძე და სხვა ძრავალი. მაგრამ საკითხის მესწავლამ გამოავლინა აგრეთვე ძთელი რიგი სამწუხარო მაკალთები იმისა, რომ ესა თუ ის ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკი ნაკლებად არის დაინტერესებული თავისი შვილის ქცევისა და სწავლების საკითხებით. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა არ იცის, თუ რომელ კლასში სწავლობს მისი შვილი, ხოლო ზოგიერთს კი გადამეტებული მზრუნველობით, ხელშეწყობით და ფუფუნებით. ცხოვრებაზე აკლი წარმოდგენები ხშირად დაბაშაულებათა ჩადენამდეც კი მიაყავს თავისი შვილები. ასეთი აოსასიამოვნო მაგალითები იმდენად დამახასიათებელი და საგულისხმო, რომ რაიონულმა კომიტეტმა საჭიროდ ჩათვალა პლენუმზე განსახილველად გამოეტანა ბავშვის აღზრდისათვის ოჯახისა და საზოგადოებრიობის პასუხისმგებლობის გაზრდის საკითხი.

პლენუმმა გამოავლინა ისეთი შემაშფოთებელი ფაქტები, როცა მშობლთა გარკვეული ნაწილი ადარ წარმოადგენს არავითარ ავტორიტეტს ბავშვებისათვის, მამები იშვიათად ერევიან შვილების აღზრდაში, „დროს ვერ შოულობენ“ და ბავშვის აღზრდას მხოლოდ დედას, ბებიას, ბაბუას ან სხვას ანდობენ.

ბევრ საგაზეთო ჩამორჩენილია, უაღრესად უზეში და ულიციელინო იყო 23-ე სკოლის მოსწავლე თამაზ ბურჭულაძე, ხოლო მისი მშობლები — მამა —კოკრის კულტსახლის დირექტორი ს. ბურჭულაძე და დედა, ამავე სკოლის პედაგოგი თ. შუაშვილი სწორად ვერ წარმართავდნენ ბავშვის აღზრდას. მათ შესახებ პლენუმზე საკმაოდ ვიმსჯელეთ. სასიხარულოა ის, რომ ამ ამხანაგებმა იგრძნეს თავიანთი დანაშაული და ხორმალურ კალაპოტში ჩაიყვნეს შვილის ცხოვრება. ახლა ეს მოსწავლე ნამდვილად შეიცვალა, მოკლე ხანში საკმაოდ შეძლო ჩამორჩენილობისა და უდისციპლინობისათვის დაეღწია თავი.

**ბავშვთა** უზედამხედველობის, სწავლაში ჩამორჩენის, ცუდი ყოფაქცევის ღრმად შესწავლისა და ოჯახებისა საფუძველზე რაიკომი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთი ბავშვების დიდი უმრავლესობა ისეთ ოჯახებზე მოდის, რომელთა მშობლები ერთმანეთში არაჯანსაღ დამოკიდებულებაში არიან, ჩხუბობენ, კინკლაობენ, რის შედეგადაც ანერვიულებენ ბავშვებს, ნორმალური კალაპოტიდან გამოსაყვათ ისინი.

პარტიის რაიონული კომიტეტი, მიუხედავად გაწეული ერთგვარი მუშაობისა, მაინც კმაყოფილი არ არის ოჯახის განმტკიცების საკითხებზე ადგილზე ჩატარებული ღონისძიებებით, პირველადი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაკლებად მსჯელობენ ასეთ საკითხებზე, ნაკლებია მათი გავლენა და ზემოქმედებითი ძალა იმ პირების მიმართ, რომელთა ოჯახებშიც არაჯანსაღი დამოკიდებულებაა, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში პირნციპულ სიმაღლეზე არ აყავთ მომთხოვნელობა ასეთ პირთა მიმართ.

ბავშვის აღზრდისათვის მშობლთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით პარტიის რაიონული კომიტეტისა და განათლების განყოფილების სახელით სწავლაში ჩამორჩენილი და უდისციპლინო 395 ბავშვის მშობლებს სამუშაო ადგილზე ქალაქში და რესპუბლიკის რაიონებში დაუგზავნათ სპეციალური წერილები, რომლებშიც რაიონული კომიტეტი მოითხოვდა ზომების მიღებას ასეთი მშობლების მიმართ და რეკომენდაციას შეტყობინებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ღონისძიებებმა ნამდვილად გასჭრა. ბევრი მიღებული პასუხი და, რაც მთავარია, სასწავლო წლის შედეგები უფლებას გვაძლევს ნამდვილად კმაყოფილი ვიყოთ ამით.

ეი რას გვწერს თავდაცვის სამინისტროს წყალტუბოს სანატორიუმის უფროსი მარიკაძე ჩვენს შეტყობინებაზე: „თქვენი ძალზე დროული შეტყობინება ჩვენი თანამშრომლის შვილის აკადემიურად ჩამორჩენის შესახებ მიღებული გვაქვს. ახლა პრაქტიკულ ღონისძიებებს ვახორციელებთ, ამ მომავალში ჩვენი თანამშრომლების შვილები გამოირჩეოდნენ როგორც მოწინავენი და დისციპლინირებულნი“. ანალოგიური ხასიათის წერილები მივიღეთ თბილისის სამოქალაქო აეროპორტიდან, ქალაქის მილიციის სამმართველოდან, რესპუბლიკის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოდან, თბილისის ხორცკომბინატიდან, რუსთავის სტომატოლოგიური პოლიკლინიკიდან, ჭიათურის მარგანეცის ტრესტიდან და სხვ.

საყურადღებოა ისიც, რომ ჩვენს შეტყობინებაზე პასუხს გვაძლევენ მიღებული ზომების შესახებ არა მარტო საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები, არამედ თვით მშობლებიც.

მაგრამ ამასთან ერთად გულისტკივილით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ყველა საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელნი თანაგრძნობით და გაგებით როდი მოეკიდნენ ჩვენს შეტყობინებებს. უფრო მეტიც, მათ ამაზე პასუხიც კი არ გამოგზავნეს; მათ შორის გვინდა მოვიხსენოთ ქარელის რაიონის სოფელ ბრეთის საშუალო სკოლის, თბილისის № 2 ლუდის ქარხნის, სილნაღის რაიონის სოფელ ანაგის კოლეგიურნეობის, კინოსტუდიის, № 2 ტაქსმოტორების ავტოკანტორის, თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკის, ეკრანმეიერ კომბინატის, ქარხანა „აქტის“, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის და სხვა საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები. ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ პარტიული კომიტეტი თავისი მუშაობის უშუალო გამოცდილებიდან დარწმუნებულია იმაში, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს უადგილო წყალუბას, შეშფოთებრივობას და სიგნალების შეუფასებლობას. ყოველივე ეს ნათლად ჩანს თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სარემონტო კანტორის მაგალითიდანაც. მისი თანამშრომელი ო. გოლაშვილი ჯერ კიდევ 1964 წელს დაამატიმრეს კაფე „მეტროში“ ხულიგნობისა და დებოშისათვის. აღსანიშნავია, რომ გოლაშვილის მამა, სკკპ წევრი, ამავე კანტორაში მუშაობს სანტექნიკოსად. მოსალოდნელი იყო, რომ კანტორის ხელმძღვანელობა და კოლექტივი განგაშს ატეხდნენ მამაშვილის შესახებ. მაგრამ მოხდა პირიქით — მათ შუამდგომლობა აღძრეს საგამომძიებლო ორგანოების წინაშე, თვითონ იკისრეს მისი „აღზრდა“ და ამრიგად დამსახურებულ სასჯელს აცდინეს თავგასული ახალგაზრდა. ხოლო თუ რა აღმზრდელობითი მუშაობა გასწევს მამასან, ეს იქიდან ჩანს, რომ გათავდებულმა ხულიგანმა ამ ცოტა ხნის წინათ რევოლვერით სიცოცხლეს გამოასალმა XI კლასის მოსწავლე ვ. ხატიაშვილი.

რაიკომის ბიურომ იმსჯელა ამ საკითხზე. მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო კანტორის უფროსს რ. სულეიმანიძეს, პარტბიუროს ყოფილ და ახლანდელ მდივნებს ვ. ხიდირბეგიშვილსა და ლ. ჩიკვაიძეს. ალიკომის თავმჯდომარე ვ. ავალიანი მოხსნილ იქნა, ხოლო მკელლის მამა ვახტანგ გოლაშვილი. პარტიის რიგებიდან გაირიცხა.

რაიონულმა კომიტეტმა დარღვევებზე, ხულიგნობაზე, უწესრიგობაზე სწრაფად გამოხმაურების საკითხი პრინციპულ სიმაღლემდე აიყვანა. რესპუბლიკური და ადგილობრივ პრესაში, საწარმო-დაწესებულებათა კედლის გაზეთებში გამოქვეყნებულ სხვადასხვა ორგანიზაციებიდან გამოგზავნილ კრიტიკულ შენიშვნებზე და წერილებზე რეაგირების საკითხები რაიკომის ბიუროზე 4-ჯერ აქცია თავისი მსჯელობის საგნად. ამჟამად ამ მხრივ რაიონში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა.

**ბავშვებთან**, ახალგაზრდობასთან მუშაობის საკითხები რაიონული კომიტეტის ბიუროზე, თათბირებზე, პლენუმებზე განხილვით როდი ამოიწურებოდა. მათ ემსახურებოდა აგრეთვე ის საინტერესო და მიზნობრივი ღონისძიებანი, რომლებმაც მოზარდი თაობის სწორად აღზრდის საქმეში გარკვეული შედეგები მოგვიტანეს. თავისებურ მუშაობას ეწევა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ქალაქში პირველი ბავშვთა ოთახი. რა თქმა უნდა, მისი საქმიანობა დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან, პერიოდულად თითქოს შენელდება ხოლმე მუშაობა, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი საერთოდ წინ გადადგმული ნაბიჯია მოზარდებთან მუშაობის საქმეში საზოგადოებრიობის უფრო ფართოდ ჩასაბმელად.

**ლექტორიუმები** ჩამოყალიბებულია აგრეთვე მსხვილ საწარმო-დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციებთან, კერძოდ, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხანაში, № 1 სამკერვალო ფაბრიკაში, ხელსაყოფაშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. აქაც, ისევე როგორც რაიონულ ლექტორიუმებში, მასობრივი ღონისძიებანი აქტუალურია და ახალგაზრდობის გაზრდილ იხტერესებსა და მოთხოვნილებებს შეესაბამება. კინოგაერთიანება „ყოლხიდა“ დირექციამ კინო „ნაკადულში“ რაიონის მოსწავლეთათვის შემოიღო კინოსოფრათვის ჩვენების ცალკი აბონემენტებით, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

ახალგაზრდობის ერთი ნაწილის მიერ ცუდი საქციელის გამოვლინების ადალიზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღზრდაში დაშვებულ ხარვეზებთა გვერდით ძალი დასანახავი არ არის ისიც, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობდა მოზარდთა მჩქეფარე ენერგიის სწორად წარმართვას. დიდია მათი ლტოლვა ფიზკულტურისა და სპორტისაკენ, მაგრამ საამისოდ სავარჯიშო ბაზები რაიონში ჯერ კიდევ ცოტაა; ამიტომ სულ რამდენიმე თვის წინათ რაიონში დავიწყეთ საშვილიშვილო საქმე — საზოგადოებრივ საწყისებზე შენდება კომპლექსური ფიზკულტურული ბაზა კუკიის მთის მიდამოებში. ეფიქრობთ ეს ყველაზე დიდი საჩუქარი იქნება ჩვენი მოზარდებისათვის, განსაკუთრებით რაიონის ქუჩებისა და ეზოს ფეხბურთელთა ნაკრები გუნდისათვის, რომელმაც გასულ წელს თბილისში პირველად გამართულ ქუჩების გუნდების შეჯიბრებაზე პირველი ადგილი დაიკავა. საბინაო სამმართველოს ხაზით ქუჩებისა და სახლის კომიტეტების მეშვეობით შეკეთდა და გასუფთავდა გამაჯანსაღებელი მოედნები და ეზოს სპორტული ბაზები, გონივრულად იქნა გამოყენებული საბინაო ფონდიდან ბავშვთა მომსახურებისათვის გამოყოფილი თახები.

პარტიის რაიონულ კომიტეტს მიაჩნია, რომ ბავშვთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა ერთ-ერთი ყველაზე რთული, შრომატევადი და ფაქიზი უბანია. იგი მხოლოდ სკოლის, ოჯახის და საზოგადოებრიობის ერთობლივი და გააზრებული, ყოველდღიური შრომით და მონდომებით შეიძლება გადაწყდეს. ამას მოითხოვს ჩვენი ცხოვრების ინტერესები. ოქტომბრის რაიონის მშრომელები პედაგოგიურ კოლექტივებთან ერთად ყოველთვის იქნებიან ახალგაზრდა თაობის კომუნისტურად აღზრდისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

**მ. დანელია,**
**საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი.**

*რით არის ცნობილი თქვენი სოფელი?*

# მხარს უჭერენ ტყვიაველთა თაობასნობას

### გამოხმაურება წერილზე — „სოფლის ჯილდო“

რობორც „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, 8 ივლისის ნომერში დაიბეჭდა წერილი: „სოფლის ჯილდო“. ამ წერილში დასმული საკითხები — „რით არის ცნობილი თქვენი სოფელი?“, „დავაწესოთ ვიმპელები და სიგელები მოწინავე ბრიგადების, რგოლებისა და კოლმეურნეებისათვის!“, — ფართო მსჯელობის საგანი გახდა. გორის რაინონის სოფელ ტყვიავის სოფლის მშრომელთა ამ წამოწყებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია რაიონის სოფლებში.

წერილს — „სოფლის ჯილდოს“ გულდასმით განიხილავენ გორის რაიონის პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, სასოფლო საბჭოების აღმასკომების სხდომებსა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე სოფლის ინტელიგენციის მონაწილეობით. აქ ეცნობიან ტყვიავის სასოფლო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებას ვიმპელებისა და სიგელების დაწესების შესახებ. ვიხეპაელი გადაეცემა ჰოზინავის ბრიგადას, რგოლს, კოლმეურნეს, სკოლას, კლასს, ყველა მშრომელს, ვინც თავს გამოიჩენს საზოგადოებრივ შრომაში, პირად ცხოვრებაში. აბრეშუმ ეს ჯილდო გადაეცემათ სოფლის ძველრშას სტუმრებს, რომლებიც სოფელი ჩამოდიან მეგობრობის განმტკიცებისა და მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით.

სულ რამდენიმე დღე გავიდა წერილის გამოქვეყნებიდან და რედაქციის ფოსტაში ყოველდღიურად ნახავთ ამ წერილის გამო მოსულ გამოხმაურებებს.

— დიდი ყურადღებით წავიკითხეთ აქტივის კრებაზე „კოშუნისტში“ დაბეჭდილი წერილი „სოფლის ჯილდო“. ჩვენი სოფელი შინდისი უძველესი სოფელია. აქ არის ხალხის გმირული ბრძოლების მოწმე ციხე-სიმაგრეები და ჩვენი ახალი თაობის მიერ შექმნილი სიკეთე. გადაეწყვიტეთ დავწესოთ ვიმპელები და სიგელები ჩვენი სურვილია მასზე გამოსახული იყოს სოფლის სახე და მოწინავე კოლმეურნე საქართველოს სსრ გერბით. „სოფელი ჯილდოს“ მიიღებს ის, ვინც წარმატებით შრომობს სოფელში და თავს გამოიჩენს საზოგადოებრივ საქმიანობაში, კოლუნისტურ შრომასა და ცხოვრებაში. — გვწერენ შინდისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ქოქაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ივ. მინდიაშვილი, კოლმეურნეობის აღრონომი პ. მაზმიშვილი, ბრიგადირი ბ. ვახტანგაშვილი, შინდისის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ვ. მაზმიშვილი, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ჯიქიშვილი.

— „სოფლის ჯილდოში“ აღნიშნული წინადადებები დიდი მოწონებით სარგებლობს მეპურნეობისშვილის მოსახლეობაში, — იტყობინება ამავე სოფლის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. მეშაძე. სასოფლო საბჭოს აღმასკომმა, კოლმეურნეებმა, საწარმო-დაწესებულებათა მუშაკებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს მხურვალედ დაუჭირონ მხარი ტყვიაველთა თაოსნობას.

—ამ დღეებში გაიმართა სოფელ ახალუბნის მშრომელთა კრება, რომელმაც მოიწონა ტყვიაველთა ინიციატივა. კოლმეურნე ჯ. ბალაბანოვარიშვილმა თქვა: ტყვიაველთა მაგალითით ჩვენს კოლმეურნეობაში უნდა დავაწესოთ აღნიშნული ჯილდოები. ეს უფრო აღვაფრთოვანებს ახალგაზრდა წარმატების მოპოვებისათვის ბრძოლაში. გვიყვარდეს ჩვენი სოფელი და მისი მოწინავე ადამიანები.

კრების მონაწილეებმა გადაწყვიტეს უფრო განამტკიცონ ურთიერთობა სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობას შორის და „სოფლის ჯილდოს“ დაწესების ღონისძიებანი მალე განახორციელონ, — გვწერს 8-წლიანი სკოლის დირექტორი ლ. მარლიშვილი.

სოფელ ქარბის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. კაკაბაძემ გვაცნობა: ტყვიაველთა თაოსნობას მხარი დაუჭირეს კოლმეურნეებმა და ვალდებულება იკისრეს ინრძოლონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვისათვის. სანიმუშოდ გვაქვს მოვლილი ხეხილის ბაღები, ვენახები. ალამაზობის გზით მიდის საზოგადოებრივი მეცხოველეობა. ჩვენი სოფელი კეთილმოწყობილი, რადიოფიცირებული და ელექტროფიცირებულია. გადაწყვეტ ი ლ ი გვაქვს დავაწესოთ მოწინავე ბრიგადის, რგოლის, მეცხოველის და სხვა მოწინავე ადამიანების დასაჯილდოებლად ვიმპელები, სიგელები.

ტყვიაველთა თაოსნობას იწონებენ და წერილ „სოფლის ჯილდოში“ აღძრულ წინადადებებს პრაქტიკულად ახორციელებენ მცრეშინს კოლმეურნეობის წევრები, ამავე სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, ხალხმუნაზნის კოლმეურნეობის მშრომელები, კომუნისტები. ამ ღონისძიებებზე გვწერენ მურეთისა და ხელთუბნის კოლმეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები ბ. ბორგშვილი, ვ. ილსებიძე, საშუალო სკოლის დირექტორი ბ. ბოგბიავილი.

ფოსტამ რედაქციაში კიდევ მრავალი წერილი მოიტანა. მათ შორის არის ვარიანის სატ ჭოთა მეურნეობის პარტბიურის მდივნის ქ. ნაჭირაძისა, მეურნეობის დირექტორის ი. ლაბაძისა, პარტკომბინატის კომბინატორ ლ. ეცაგაშვილისა, კომკავშირის კომიტეტის მდივნის ბ. ამრუსლიძისა, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარის ი. აბულაძისა, მერეთის ამბულატორიის გამგის ბ. ბენიაშვილისა, ბერბუკის სატჭოთა მეურნეობის დირექტორის დ. კოტეტიშვილისა, ბნავისის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნის ს. ქარალიძისა, ბერშუეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბ. რაზმაძისა, ამავე სოფლის საშუალო სკოლის დირექტორის ი. კაკაბაძისა, ძეგერის კოლმეურნეობის თავმჯდომარის შ. ბუხრაძისა, ქიზნისის სატჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივნის მ. ქოქაშვილისა, მეურნეობის დირექტორის მ. მაჭალაძისა, ამავე მეურნეობის მექანიზატორის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ლ. ჭიქარიძის წერილები.

მათი ავტორები ღრმა რწმენას გამოთქვამენ, რომ „სოფლის ჯილდოს“ დაწესება ხელს შეუწყობს ახალ წარმატებათა მოპოვებას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ დასახულ ღონისძიებათა სასახელოდ განხორციელებას.

ეს იქნება ჩვენი რესპუბლიკის თვითეული სოფლის მშრომელთა დიდი ჯილდო.

**ბიყვარდეთ თქვენი სოფელი და მისი ჯილდო!**

## მკითხველის კალმით

□ **ლენინგორი.** ლენინის ჯართის შეგროვებაში მონაწილეობენ რაიონის საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები, მოსწავლეები.

ამ საქმეში დაწინაურდა „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილება, რომელმაც 15 ტონა ჯართი ჩააბარა. ხოლო რაიონის კომკავშირულმა, პიონერთა ორგანიზაციებმა და მოსწავლეებმა შეაგროვეს და ჩააბარეს 30 ტონა. დამზადების რაიონული კანტორის მუშაკებმაც ისახელეს თავი ამ საქმეში. მათ 8 ტონა ჯართი მიიტანეს შემგროვებელ პუნქტში. **ბ. დურგლიშვილი.**

□ **რუსთავი** ამწემშენებელი ქარხანა არა მარტო რესპუბლიკის მშენებლობებს ამარაგებს ახალი სახის „კ. გ. 100-1“ ტიპის ამწეებით, არამედ ისინი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკაშიც იგზავნება. რუსთავის მარკოთ გამოშვებულ ამწეს შეხვდებით კიშინიოვში, უფაში, როსტოვში, ერევანში და სხვ.

თავისი დაარსების დღიდან ერთი წლის განმავლობაში ქარხანამ უკვე გამოუშვა 140-ზე მეტი ასეთი ამწე. **ბ. დემეტრაშვილი.**

□ **მუყაიბად** შრომობს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის მექანიკური შახტის პირველი უბანი, რომელსაც კ. ხუციძე ხელმძღვანელობს. ამ უბანმა ივნისის გეგმის გადამეტებით 465 ტონა ქვანახშირი ამოიღო.

ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ ს. ბუიანკინის, შ. ჩაბრავას და ნ. ფარულავა ბრიგადებს. **ვ. თარბაია.**

ეს გოგონები „თბილგასტრონომის“ კომუნისტური შრომის ბრიგადების მოწინავე გამყიდველები არიან. ყველა მათგანი აქტიურად ჩაბმულია საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამავე დროს გოგონები ახერხებენ წარმატებით სწავლას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის საქონელმცოდნეობის განყოფილებაზე.

ჩვენს სურათზე თქვენ ხედავთ შრომისმოყვარე გოგონებს მეცადინეობის დროს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

**სურათზე:** (მარჯვნიდან მარცხნივ) გამყიდველი ნუნუ ტალახაძე, ტექნიკოსი მარინე წოკლაური, გამყიდველები — ეთერ ამირეხაშვილი, ნაზი ხოხიაშვილი და ციალა გოჩიაშვილი.

ფოტო ს. კილაძისა.

*პარტიული ქრონიკა*

## პარტორგანიზაციათა მდივნების სემინარი

**ცხინვალი.** ამ დღეებში აქ გაიმართა ქალაქის სამრეწველო საწარმოთა, ტრანსპორტის, სახელმწიფო დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და სამეურნეობების პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნების ვ. ჩიხლაძისა და ტ. ცხოვრებოვას, საორგანიზაციო განყოფილების გამგის გ. ოდიკაძის და გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგის დ. მაისურაძის საუბრები ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის ერთიანობის, ძირეული პრესის როლისა და ამოცანების შესახებ.

**კ. გაგბარაევი,**
*პარტიის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი.*

## ყურადღება სკოლას!

**ორჯონიკიძე.** პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა ამ დღეებში განიხილა საკითხი: „რაიონის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების საქმეში სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის როლის შესახებ“. მოხსენებით გამოვიდა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. მაღრაძე.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა ბევრი საყურადღებო წინადადება გამოთქვეს სკოლისადმი პარტიული ზრუნვის გაღლიერების მიზნით. პლენუმმა განხილულ საკითხზე მიიღო კონკრეტული დადგენილება.

**კ. ნეგბიერიძე.**

## ვეტერანთა საბჭო

**ტყვარჩელი.** პარტიის საქალაქო კომიტეტის სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ჭალარაშერეული, ძველი კომკავშირელები. კრებაზე კომკავშირის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის მდივანმა მ. მარშანიამ წაიკითხა დებულება კომკავშირელ ვეტერანთა საქალაქო საბჭოს შექმნის შესახებ.

საბჭოს ამოცანებზე ილაპარაკა აფხაზეთის ვეტერანთა საბჭოს წარმომადგენელმა ე. შამბამ. სიტყვებით გამოვიდნენ კომკავშირის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი ა. ცაავა, ძველი კომკავშირელები: ლ. შაკერბაია, ს. ტარბა, პარტიის წევრი 1917 წლიდან ი. ბადინი. კრების მონაწილეებს მიესალმა აფხაზეთის კომკავშირის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. მატარაძე.

დასასრულ არჩეულ იქნა ვეტერანთა საბჭო.

**კ. ბარძაია.**

# ქართულ აბრეშუმს არ უნდა უჭირდეს!

## ეკონომისტის შენიშვნები, წინადადებები

**თბილისის** აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა აბრეშუმის ქსოვილების ერთადერთი მწარმოებელია რესპუბლიკაში. მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, ფაბრიკის კოლექტივი უკანასკნელ წლებში სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა. ქართულ აბრეშუმს, განსაკუთრებით ნატურალურს, უჭირს მომხმარებლის გულის მოხდაირება.

მართალია, 1961 წელთან შედარებით 1965 წლისათვის ფაბრიკაში წარმოების მოცულობა ჩვიდმეტი პროცენტით გაიზარდა, მაგრამ ეს მოხდა ხელოვნური და სინთეზური აბრეშუმის ქსოვილის ზრდის ხარჯზე. ხოლო ნატურალური აბრეშუმის ქსოვილის გამოშვება ამავე პერიოდში 9,3 პროცენტით შემცირდა.

ფაბრიკას მძიმე ტვირთად აწევდა სულ უფრო მზარდი უნაყოფო ხარჯები, რომლებიც 1961 წელს 397 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო 1964 წელს 554,9 ათას მანეთს მიაღწია.

ყველაზე ჩამაფიქრებელია ის, რომ 1964 წელს გამოშვებული 2.812 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი მიმდინარე წლის დასაწყისში გაუსაღებლად ეწყო ფაბრიკის საწყობებში. ამ ნაშთში ღირებულების მიხედვით 69 პროცენტი ეპირა ნატურალური აბრეშუმის ქსოვილს. აქვე უნდა ითქვას, რომ შარშან ფაბრიკას საგაჭრო ორგანიზაციებიდან უკანვე დაუბრუნდა 880,1 ათასი მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

დიახ, ქართულ აბრეშუმს ნამდვილად უჭირს.

ამასთან დაკავშირებით გვინდა შეეეხოთ დაგეგმვის ზოგიერთ შეუსაბამობ

# „ვარსკვლავები“ თბილისს ცაზე

ЧЕТВЕРТЫЙ МЕЖДУНАРОДНЫЙ КИНОФЕСТИВАЛЬ 1965 МОСКВА

უკვე ტრადიცია გახდა საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში აჩვენონ მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე წარმოდგენილი კინოფილმები. კინოფილმებთან ერთად ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობენ ადრეთვე მათი შემქმნელები, ფესტივალის დელეგაციათა წევრები და სტუმრები.

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალის დაწყებამდე ცნობილი იყო, რომ მთელ რიგ ფილმებს აჩვენებენ თბილისში. საქართველოს დედაქალაქის მცხოვრებლები მოუთმენლად მოელოდნენ სტუმრებს—მსოფლიოს კინო მოღვაწეებს, ადრეთვე მათ მიერ შექმნილ ფილმებს, და აი 21 ივლისს თბილისში ჩამოვიდნენ

### თბილისში დაიწყო მოსკოვის ფესტივალის ფილმების ჩვენება

„პირველი მერცხლები“ — სახელგანთქმული იტალიელი კინომსახიობი, ფილმების „მშვიდობა არ არის ზეთისხილის ხეების ქვეშ“, „რომი 11 საათზე“, „ველოსიპედისტის სიკვდილი“ და ბევრი სხვა სურათის გმირი ლუჩია ბოზე მეუღლითურთ—ლეგენდარულ ესპანელ ტორერო ლუის მიგელ დომინგინთან ერთად.

თბილისში ჩამოვიდნენ ადრეთვე ჩეხოსლოვაკიური ფილმის „თავდასხმის“ რეჟისორი (ამ ფილმმა მოსკოვის ფესტივალის ოქროს პრიზი მიიღო) ირჟი სეკვენსი, მექსიკელი მსახიობი ლო

# ახალი ამბები · ყოველნი

## ბანაკები ქალაქში

ქალაქ ახალციხის ენგელსისა და გორკის ქუჩების პიონერთა ინიციატივა — შეექმნათ ქუჩის საზაფხულო პიონერული ბანაკი იმ პიონერებისათვის, რომლებსაც ქალაქგარეთ დასასვენებლად წასვლა არ მოუწია, — სათავეში ჩაუდგა ახალციხის პიონერთა რაიონული საბჭო.

ამ ქუჩების ყველაზე ფართო ეზოებში დაიდგა კარვები, მოეწყო სათამაშო მოედნები და სამკითხველოები. სულ მალე 40-50 პიონერმა მოიყარა თავი. აქ ხშირად იმართება კონცერტი, ეწყობა კოლექტიური დასწრება კინოსეანსებზე, ლაშქრობა-გასეირნება ქალაქგარეთ.

საზაფხულო პიონერული ბანაკები შეიქმნა აგრეთვე მარქსის, რუსთაველის, ვარძიის, პუშკინის, კლდიაშვილის და სხვა ქუჩებზე. ქალაქში ამჟამად 40-მდე ქუჩის საზაფხულო პიონერული ბანაკია, სადაც 1.000-ზე მეტი პიონერი ატარებს საზაფხულო არდადეგებს.

ა. ჯაფარიძე.

## ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘ

საჩხერე. (საკ. კორ.). განთქმულია აქაური ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, ბოსტნეული. ყოველწლიურად იზრდება ხილისა და ბოსტნეულის ფართობი, მოსავლიანობა. ამის საფუძველზე გასული წლის გაზაფხულზე საჩხერეში დაიწყო საკონსერვო ქარხნის მშენებლობა, რაც მომავალ წელს უნდა დამთავრდეს.

ქარხანა მთლიანად მექანიზებული და ავტომატიზებული იქნება. ყოველწლიურად შვიდ მილიონ პირობით ქილა კონსერვს გამოუშვებს. ჯერჯერობით კი საკონსერვო ქარხანასთან მუშაობს ხილის წვენების საამქრო, რომლის პროდუქციას ჩვენი ქვეყნის შორეულ კუთხეებშიც იცნობენ.

## ᲛᲝᲙᲠᲐᲕᲘ ᲐᲢᲔᲚᲘᲔ

თრიალეთის მთაგრეხილის მწვანე კალთებზე შეფენილ სოფელ ხციისის კოლმეურნეობას ამ დღეებში საშურის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის მოძრავი ატელიე ესტუმრა. ტანსაცმლის მეარავებმა, ფეხსაცმლის, რადიომიმღებებისა და ტელევიზორების შემკეთებელმა ოსტატებმა მეტად სასარგებლო დახმარება გაუწიეს კოლმეურნეებს.

მოძრავი ატელიე მოემსახურა აგრეთვე ახალშენის, მიწობის და სხვა სოფლების მშრომელებს.

დ. ფარემუზოვი.

## Ს. მ. ᲯᲝᲠᲑᲔᲜᲐᲫᲔ— ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

**თბილისის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო სამართლის კათედრის გამგემ სერგო მონახსენ-ძე ჯორბენაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

**„სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების წარმოშობა სსრ კავშირში“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ს. მ. ჯორბენაძისათვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

## ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

● **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** (საკ. კორ.). ავტომშენებელთა კადრების ნამდვილ სამკვედლოდ იქცა ავტომექანიკური ტექნიკუმი, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე ათასზე მეტი ტექნიკოსი მოუმზადა ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანას.

ახლახან ტექნიკუმის დღისა და საღამოს განყოფილება დაამთავრა 60 კაცმა.

● **ᲑᲝᲒᲓᲐᲜᲝᲕᲙᲐ.** (საკ. კორ.). რაიონული კულტურის სახლის ავიტბრიგადა ეწვია ჯიგოშენის, თორიოს, ყაურმის, ბოგდანოვკისა და პატარა გონდურის კოლმეურნეობების საზაფხულო იალაღებს.

**თბილისის** მიდამოებში ბევრი ღირსშესანიშნავი ადგილია, მრავალ მნახველს რომ იზიდავს.

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲔᲛ ერთ-ერთ კვირადღეს გადაიღო ჯვარის მონასტრის მიდამოებში. ამ დღეს აქ მოსულიყვნენ თბილისელი ექსკურსანტები და აქაური ბუნების სიმშვენიერით ტკბებოდნენ.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ

**ᲑᲔᲕᲠᲘ** ალბათ კარგად ახსოვს შეესანიშნავი ფრანგული ფილმი „მარი — ოქტომბერი“, რომელიც **უ. რობერის** პიესის „შეხვედრის“ მიხედვით გადაიღეს.

ამ დღეებში, სეზონის დახურვის წინ, ფრანგი დრამატურგის ამ პიესას დადგმა განახორციელა რუსთაველის სახელობის თეატრმა. თეატრის მცირე დარბაზში მოეწყო „შეხვედრის“ საზოგადოებრივი განხილვა. სპექტაკლ „შეხვედრით“ გაიხსნება მომავალი სეზონი.

სპექტაკლი დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა **რ. სტურუამ**, მხატვრულად გაფორმება რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ფ. ლაპიაშვილმა.**

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები **მ. ჩახავა** და **ე. მანჯგალაძე**, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები **რ. ლორთქიფანიძე** **გ. გეგეჭკორი**, **ე. მაღალაშვილი**, **გ. სალარაძე**, **რ. ჩხიკვაძე**, **ბ. კობახიძე**, **მ. თაბუაშვილი**, **გ. თალაკვაძე** და მსახიობი **ე. სახთხუციშვილი.**

## ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

**კასპის** მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა და კულტურულ-საგანმანათლებო მუშაობის რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა კაბინეტმა მოაწყეს მუზეუმის პირველი სამეცნიერო სესია.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. გეჯაძემ.

დამსწრეთ მოისმინეს მოხსენებები: ქართლის გეოლოგიური წარსულიდან (პროფესორი მ. ძველაია), ქ. კასპის არქეოლოგიური ძეგლები (მეცნიერი თანამშრომელი მ. ბარამიძე), პლატონ იაშვილი და მისი რაზმი (კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გ. ხორგუაშვილი), სამთავისის ტაძრის ისტორია (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი გ. სოხაშვილი), რევოლუციონერი გრიგოლ (გუცა) პარკაძე (მეცნიერი თანამშრომელი შ. თანდაშვილი).

ი. სოზიაშვილი.

## ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲣᲚᲨᲘ

**ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲓᲐᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲘ** წლის ასაკში სამუდამოდ წავიდა ჩვენგან ცნობილი ქართველი გლეხი-პოეტი **გიო კანანელი** (გიო ყარამანის-ძე კანანაშვილი), ადამიანი, რომელსაც ცხოვრების დევიზად ოთხი სიტყვა ჰქონდა — პატიოსნება, შრომა, სიკეთე, ლექსი.

სუფეხეს იყო მიღწეული გიო კანანელი. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ბევრი რამის მომსწრე ყოფილა. ჭირიც უნახავს და ლხინიც, წუთისოფლის სიმწარეც დაულევია და სიტკბოთი სავსე თასიც. მაგრამ პატიოსნება ყოველივის იყო მისი ცხოვრების ნათელი ლამპარი.

ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა, მაგრამ არ დაჩაჩანაკებულა. სიკვდილამდე მხნედ იყო ფიზიკურად და გონებრივად. ამ ორიოდე თვის წინათ ჩვენს რედაქციაშიც გვესტუმრა და თავისი ახალი ლექსები წაგვიკითხა. როცა ვკითხეთ, თავს როგორ გრძნობთო, გვიპასუხა — — სანამ შრომა შეიძლება, არა მიშავს, მშრომელი კაცი ჯანსაღია და ბედნიერიო, მერე ლექსიც მოაყოლა:

**„სულ დავლილინებ ჩემს შრომას,**
**როგორც ჭეჭილში მწყერია,**
**ახლა ნამდვილი შვილი ვარ,**
**ძველათ რომ ვიყავ გერია.**
**ჩვენმა შრომამ და სიმართლემ**
**მტრის ძალა მოიგერია“.**

„ერთიათასად გამრავლდეს ქვეყნად კეთილის მდომნი,“ — ამბობდა გიო კანანელი და იმ კაცს კაცად არ თვლიდა, ვისაც გულს ბოროტების ჭია უღრღნიდა, ვისაც ხალხის სიკეთისა და ბედნიერებისათვის სამსახური თავის წმიდათა-წმიდა მოვალეობად არ მიეჩნდა.

გიო კანანელის ლექსები, რომელთა უმრავლესობა დაბეჭდილია ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, სხვადასხვა ქრესტომათიებში, სახელმძღვანელოებში, კრებულებში, ალმანახებში, ქართველი გლეხი-კაცის ალალი გულისხმქმაა. თავის ლექსებში იგი გულისწუხარით ლაპარაკობდა რევოლუციამდელი ქართული სოფლის დუხჭირ ცხოვრებაზე, უმეტეოდ რევოლუციის მიერ განთავისუფლებული ქართველი ხალხის შრომას, სამშობლოს, დიდ ბელადს ლენინს, კომუნისტურ პარტიას. გიო კანანელის პოეზია გამოირჩევა უშუალობით, გულწრფელობით, ხალხური სიბრძნით და სისადავით, სიცოცხლისა და ცხოვრების ღრმა სიყვარულით, ბრძოლისა და გამარჯვების სულისკვეთებით.

სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში, უღარიბესი გლეხის ოჯახში დაბადებულმა გიო კანანელმა, რომელმაც მთელი ახალგაზრდობა მოჯამაგირეობაში გაატარა, თავისი ცხოვრება დასრულა როგორც ხალხის საყვარელმა გლეხმა-პოეტმა, შუბლიერი ხალხის გულშივე მოიპოვა სამუდამო ბინა და სამარადისო ხსოვნა.

## ᲡᲐᲮᲚᲘ ᲡᲐᲜᲘᲡᲬᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ

### Ვ. Ვ. ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ 25 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

**1940 წელს** საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით სოფ. ბაღდათში დაარსდა დიდი პროლეტარული პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი. ამ სახლში, სადაც 8 წელიწადს ცხოვრობდნენ მაიაკოვსკები და სადაც დაიბადა მომავალი პოეტი. ამავე წელს, პოეტის გარდაცვალების მეათე წლისთავზე, სოფ. ბაღდათს ეწოდა მაიაკოვსკი, ხოლო ბაღდათის რაიონს — მაიაკოვსკის რაიონი.

მუზეუმში თავდაპირველად აღდგენილ იქნა პირვანდელი ფორმით პოეტის მამის სამუშაო კაბინეტი და მაიაკოვსკების საწოლი ოთახი 40-მდე პირადი ნივთით, რომლებიც პოეტის დედამ და დებმა უსასყიდლოდ გადმოსცეს მუზეუმს. ერთ დიდ ოთახში მოეწყო პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

მუზეუმი შესანიშნავ კულტურულ კერად გადაიქცა. თვით სოფლის ბუნებრივი სილამაზეც დიდძალ ექსკურსანტს იზიდავს. აქ მოდიან მოსწავლე ახალგაზრდობა, კოლმეურნეები და მუშა-მოსამსახურეები, ტურისტები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და უცხოეთიდან, დამსვენებლები წყალტუბოდან და სხვა კურორტებიდან. ისინი დიდ მადლობას უხდიან ქართველ ხალხს, საქართველოს მთავრობას და ყველას, ვინც მზრუნველობას არ აკლებს მუზეუმის კეთილმოწყობას და რაც დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის ძმობისა და მეგობრობის სიმბოლოს ხედავენ. მუზეუმს ყოველწლიურად 30.000 ექსკურსანტი ათვალიერებს. ისინი დიდი სიყვარულის გრძნობით აღსავსე შთაბეჭდილებებს წერენ შთაბეჭდილებათა წიგნებში, რომელთა რაოდენობამ 22 ტომს მიაღწია.



მუზეუმს საკმაოდ დიდი მასალა დაუგროვდა. რაიონული ხელმძღვანელობის და მუზეუმის დირექციის წინაშე დაისვა საკითხი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენის გაფართოებისა. აიგო დამხმარე შენობა და უკანასკნელ წლებში ჩატარდა მუზეუმის რეკონსტრუქცია. გამოფენა მოეწყო 6 საქმაოდ დიდ დარბაზში. ამჟამად ექსპონატებია 28 თემატიური განყოფილებაა. 1800 სხვადასხვა ხასიათის ექსპონატი, მხატვრული სურათები, ფოტოსურათები, ფოტოდოკუმენტაციები, პლაკატები, დიაგრამები, ავეშები, მხატვრული ციტატები და ტექსტები შესანიშნავად ასახავენ ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებასა და ლიტერატურულ მემკვიდრეობას. წამყვანი ადგილი უჭირავს ისეთ თემებს, როგორიც არის: „ოქტომბრის რევოლუცია და მაიაკოვსკი“, „როსტას ფანჯრები“, „ვ. მაიაკოვსკი და კაპიტალისტური სამყარო“, „ვ. მაიაკოვსკი და ქართველი საზოგადოებრიობა“, „ვ. ი. ლენინის სახე ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებაში“, „ვ. მაიაკოვსკი — კომუნიზმის მომღერალი“, „ბრძოლა მშვიდობისათვის“.

ადამიანს ზოგჯერ აოცებს მაიაკოვსკის პოეზიის თანადროულობა. თითქოს დღეს იწერებოდეს მისი ლექსები მშვიდობიანობაზე, ხალხთა მეგობრობაზე, საბჭოთა ხალხის დიდ წარმატებებზე კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, კოსმოსში. გასულ წელს მოეწყო თემატური განყოფილება „ვ. მაიაკოვსკი კოსმოსის შესახებ“. მთელ რიგ ლექსებში და პოემაში „მფრინავი პროლეტარი“ პოეტს გენიალურად აქვს ნაწინასწარმეტყველები კოსმოსური ფრენა

ერთ-ერთ სტენდს ამშვენებს ვ. მაიაკოვსკის მე-4 აკადემიური გამოცემის 13-ტომეული და სხვადასხვა ენაზე ნათარგმნი პოეტის ნაწარმოებები.

მუზეუმს შეძენილი აქვს გ. ნიკოლაძის სადიპლომო ნაშრომი — პოეტის ბიუსტი, ა. სლუცკის მიერ დამზადებული პოეტის სახის ნიღაბი, დ. ყიფშიძის ჭედურად შესრულებული პორტრეტი, ვ. ჯაფარიძის, ს. ნადარეიშვილის, შ. მაყაშვილის, მ. ჯანაშვილის აკვარელები და მხატვრული სურათები.

მაგნიტოფონის საშუალებით ექსკურსანტები ისმენენ პოეტის ხმას, აგრეთვე ი. ილინსკის, ა. იახონტოვის, ვ. კაჩალოვის და მ. პატარიძის წაკითხვით ვ. მაიაკოვსკის ლექსებს.

მომზადდა შრომა „ვ. მაიაკოვსკი და საქართველო“, „ვ. მაიაკოვსკის ცხოვრება და შემოქმედება“, ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა მუზეუმის დასურათებული მეგზური. „მოსფილმმა“ და საქართველოს კინოსტუდიამ, აგრეთვე საქართველოს ტელევიზიამ გადაიღეს რამდენიმე მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ვ. მაიაკოვსკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

**ნ. ᲙᲣᲨᲮᲣᲩᲘᲫᲔ.**
**ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.**

* * *

**სურათზე:** ვ. ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმის შენობის მემორიალური ნაწილი.

## ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲯᲔᲠᲘ ᲤᲣᲠᲘ

**საკავშირო** ჩემპიონატის პირველი წრე „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებისათვის დასასრულს უახლოვდება. დღეს გაიმართება მეთხუთმეტე ტურის შვიდი მატჩი. თუ ვიმსჯელებთ მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობის მიხედვით, შეხვედრათა უმრავლესობაში მოსალოდნელია პრინციპული, შეუთავაზონი ბრძოლა.

სსრ კავშირის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ მოსკოვში შეხვდება არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს. მართალია, დინამოელებმა თასის გათამაშების მერვედფინალში დაამარცხეს არმიელი ფეხბურთელები (4:2), მაგრამ ჩემპიონატებში ცსკა-ს გუნდს თბილისის „დინამოსთან“ აქტიური ბალანსი აქვს (21 მოგება, 7 ფრე, 14 წაგება). ამჟამად მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა ისეთია, რომ რომელიმე მათგანისათვის ორი ქულის დაკარგვა სავალალო აღმოჩნდება.

◆

### ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

**სოხუმი.** (საკ. კორ.). კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მოწვეით სოხუმს ესტუმრა მოსკოვის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან — **ვ. კეხარეული, ვ. კრიეველაძი, ა. ისაევი, ნ. პარშინი, ვ. ემიშევი, ბ. საფრონოვი, ვ. ეოროშილოვი, ბ. რაზინსკი, ვ. ბელიაევი** და სხვ.

სტუმრებმა სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე გამართეს ამხანაგური მატჩი აფხაზეთის ეკიპაჟ ფეხბურთელებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 7:4.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

## ᲙᲐᲣᲩᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ

ლენინგრადელ მაპროფესორმა ივან ეკანაევმა გამოუშვა ტყუპების დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია.

— ტყუპები ორი ტიპისა არიან, — უთხრა მან ახალი ამბების საააგენტოს კორესპონდენტს, — ეგრეთწოდებული სხვადასხვა კვერცხისანი, რომლებიც სხვადასხვა უჯრედებიდან წარმოიშვნენ, და ერთი კვერცხისანი, რომლებიც ერთი უჯრედიდან განვითარდნენ.

მეორენი ძალიან ცოტანი იბადებიან. საერთოდ ტყუპებზე მოდის დაახლოებით ერთი პროცენტი და მათი მხოლოდ მესამედი არიან ერთი კვერცხისანი. ჩვეულებრივ იბადება ორი ასეთი ტყუპისცალი, მაგრამ ისინი შეიძლება იყოს სამი, ოთხი და იქნება ხუთიც, რაც, მართალია, განსაკუთრებით იშვიათია. რეგისტრირებულია მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა ხუთივენი ცოცხალი დარჩნენ და გაიზარდნენ.

ასეთი ტყუპის ცალები მეტ წილ შემთხვევებში ანსოლუტურად ჰგვანან ერთიმეორეს. საოცარი მსგავსება იმით აიხსნება, რომ ისინი თანაბარ ნაწილებად გაყოფილი უჯრედიდან წარმოიშვნენ. უჯრედის ბირთვი, რომელშიც მოცემულია მთელი მემკვიდრეობითი ინფორმაცია, ყველა გენი, აგრეთვე თანაბრად გაიყო. სხვანაირად რომ ვთქვათ, ესენი ერთი შემკვიდრეობის ადამიანები არიან.

ძალიან მსგავსი არიან არა მარტო გარეგანი ნიშნები — შუბლი, ცხვირი, ტუჩები, კბილები, ნიკაპი, თვალები, არამედ სისხლის ბიოქიმიაც: სისხლი ყოველთვის ერთი ჯგუფისაა და, მაგალითად, რეზუს ფაქტორი; ასეთი ტყუპების თითების ბოლოების ანაბეჭდებიც ძალიან წააგავს ერთმანეთს, თუმცა მთლად ერთნაირი არ არის.

საინტერესოა, მაგალითად, ნიჭის მსგავსება. ცნობილი არიან ტყუპი დირიჟორები, რომლებსაც ნიჭის დიდი მსგავსებაც ახასიათებდა. ალოიანი ორკესტრატორებიც ვერ არჩევდნენ მათ ერთმანეთისაგან. მაგალითად, ერთი ძმა დირიჟორობდა ოპერის პირველ აქტს და ანტრაქტის დროს ჩუმად მიდიოდა თეატრიდან. მუსიკოსები ვერ ამჩნევდნენ, თუ შეცვლილად მეორე მოდიოდა და დირიჟორობდა.

ტყუპი ძმები პიკარები მეორე მაგალითს წარმოადგენენ. ერთი ფიზიკოსი, ოკეანის სიღრმეთა ჰიდროლარული მკვლევარი გახდა, ხოლო მეორე — ქიმიკოსი. ორივემ მეცნიერებას მოახმარა ძალღონე.

მართალია, მემკვიდრეობით ერთნაირი ტყუპები ვერიანი ბედნიერებით ვერ ვამაყობენ. ეს ეხება ერთ-ერთ ტყუპს, ერთ-ერთ ბიჭს, ერთ-ერთ ბავშვს. ეს ეხება ორივეს. ეს ეხება ორივეს. ეს ეხება ორივეს.

— ტყუპები შესანიშნავი ობიექტია მეცნიერებისათვის, — განაგრძო პროფესორმა კანაევმა. — მოვიყვან მაგალითს. ორი ბიჭუნა — ტყუპები — განვითარებაში ჩამორჩენილი იყო შინაგანი სეკრეციის ორგანოების არასაკმაო მოქმედების გამო. ერთს ენდოკრინული პრეპარატები გამოუწერეს, და ბიჭუნამ გაუსწრო თავის ძმას, გამოჯანმრთელდა, უფრო სწრაფად იწყო ზრდა. ხმა შეეცვალა. მისი ტყუპის ცალი კი, რომელიც წამალს არ იღებდა, თითქოს კონტროლს წარმოადგენდა. ასე შეიძლებოდა შევამოწმოთ ამა თუ იმ პრეპარატის მოქმედება.

გამოკვლეულ იქნა დაახლოებით ერთნაირად ჩამორჩენილი ტყუპი ბიჭუნების მეტყველება. ერთს სპეციალური მეთოდებით ასწავლიდნენ და ამით მეტყველებას უკითარებდნენ, მეორე კი თავის ანაბარად დატოვეს. პირველმა ძალიან მალე, რამდენიმე თვეში გაუსწორო განვითარებით თავის ძმას. ეს მოწმობს იმას, თუ რა როლის შესრულება შეუძლია აღმზრდელობითს ზემოქმედებას.

ორგანიზმზე გარემოს სხვადასხვა ფაქტორის გავლენა შეიძლება გამოვარკვიოთ, თუ კვლევაში ჩავაბამთ არა ერთ ტყუპს, არამედ ტყუპებისა და მათი ნათესავების ჯგუფს. მაგალითად, შეისწავლიდნენ მემკვიდრეობის როლს ტუბერკულოზის დროს. გამოკვლეულ იქნა 308 ოჯახი, რომლებსაც ტყუპები ჰყავდათ, სულ 2534 კაცი. გამოირკვა, რომ ერთუჯრედიანი ტყუპები „ჩვეულებრივებზე“ სამჯერ უფრო ხშირად ავადდებიან ტუბერკულოზით. დასკვნა: ტუბერკულოზის დროს არ შეიძლება დავიჯეროთ მემკვიდრეობითი წინასწარგანწყობა.

შვეიცარიაში, სადაც გავრცელებულია ჩიყვი, გამოარკვიეს, რომ ამ ავადმყოფობით თანაბრად ავადდებიან სხვადასხვა ტიპის ტყუპები. სხვანაირად რომ ვთქვათ, მემკვიდრეობას მნიშვნელობა არა აქვს. ავადმყოფობა დაავადებულია ადამიანის ორგანიზმის ამა თუ იმ თვისების განვითარება მემკვიდრეობაზე და რამდენად — გარემოს გავლენაზე.

ᲐᲞᲜ
AGENTSTVO PECATI NOVOSTI

## ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲛᲘ

**აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965-66 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:**

**I — დასწრებული განყოფილების პირველ კურსზე:**
ა) ქვანახშირის ბუდობების მიწისქვეშა დამუშავების (ქართული და რუსული სექტორი), ბ) სამთო ელექტრომექანიკური (ქართული სექტორი), გ) ნავთისა და გაზის ჭაბურღილების ბურღვა (ქართული სექტორი).

**II — დასწრებული განყოფილების მესამე კურსზე:**
ა) მადნეული და არამადნეული ბუდობების დამუშავება (ქართულ- სექტორი), ბ) სამარკშეიდერო საქმე (ქართული სექტორი).

**III — დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე:**
ა) ქვანახშირის ბუდობების მიწისქვეშა დამუშავება (ქართული სექტორი), ბ) მადნეული და არამადნეული ბუდობების დამუშავება (ქართული სექტორი). არსრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები მიიღებიან პირველ კურსზე, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები — მესამე კურსზე.

**ტექნიკუმში ჩარიცხვა იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით.**

**განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. გამოცდები დაიწყება პირველ აგვისტოს, სწავლა პირველ სექტემბერს.**

ტექნიკუმი ამზადებს სამთო ტექნიკოსებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილებით და იმუშავებენ: ქვანახშირის, მარგანეცის, რკინის, სპილენძის, ოქროს, ვერცხლის, ტყვიის, თუთიის და ფერადი და იშვიათი ლითონების, აგრეთვე ბარიტის, გუმბრინის, მარმარილოს და სხვადასხვა სამშენებლო მასალების მომპოვებელ საწარმოებში, სამთო მანქანათმშენებლობის ქარხნებსა და მადნების გამდიდრების ფაბრიკებში, ნავთობისა და გაზის საძიებო და სხვადასხვა სასარგებლო წიაღისეულთა ღია და მიწისქვეშა სამუშაოებზე.

კურსდამთავრებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან მაღალი ხელფასით და ყველა შეღავათით, რაც დაწესებულია სამთომადნო მრეწველობის ყველა მუშაკთათვის.

ტექნიკუმს აქვს საერთო საცხოვრებელი, სასადილო, დასწრებულ განყოფილებაზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან დადგენილი წესით სტიპენდიით.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმში. მისამართი: ქ. ქუთაისი, ლენინგრადის ქ. № 62.

## ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲯᲔᲠᲘ ᲤᲣᲠᲘ

**საკავშირო** ჩემპიონატის „ა“ კლასის პირველი ჯგუფის ფეხბურთელთა გუნდებისათვის დასასრულს უახლოვდება. დღეს გაიმართება მეთხუთმეტე ტურის შვიდი მატჩი. თუ ვიმსჯელებთ მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობის მიხედვით, შეხვედრათა უმრავლესობაში მოსალოდნელია პრინციპული, შეუთავაზონი ბრძოლა.

სსრ კავშირის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ მოსკოვში შეხვდება არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს. მართალია, დინამოელებმა თასის გათამაშების მერვედფინალში დაამარცხეს არმიელი ფეხბურთელები (4:2), მაგრამ ჩემპიონატებში ცსკა-ს გუნდს თბილისის „დინამოსთან“ აქტიური ბალანსი აქვს (21 მოგება, 7 ფრე, 14 წაგება). ამჟამად მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა ისეთია, რომ რომელიმე მათგანისათვის ორი ქულის დაკარგვა სავალალო აღმოჩნდება.

◆

### ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲛᲐᲢᲩᲘ

**სოხუმი.** (საკ. კორ.). კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მოწვეით სოხუმს ესტუმრა მოსკოვის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდი, რომლის შემადგენლობაში არიან — **ვ. კეხარეული, ვ. კრიეველაძი, ა. ისაევი, ნ. პარშინი, ვ. ემიშევი, ბ. საფრონოვი, ვ. ეოროშილოვი, ბ. რაზინსკი, ვ. ბელიაევი** და სხვ.

სტუმრებმა სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე გამართეს ამხანაგური მატჩი აფხაზეთის ეკიპაჟ ფეხბურთელებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით 7:4.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

## ᲙᲐᲣᲩᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲔᲚ ᲛᲐᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲘᲕᲐᲜ ᲔᲙᲐᲜᲐᲔᲕᲛᲐ

## ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

**ᲐᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲠᲔᲪᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲗ.**

**ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲐᲠᲢᲘ**

**ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲐᲠᲢᲘ**

**ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲐᲠᲢᲘ**

## ᲛᲐᲢᲩᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲐ

**ᲒᲚᲔᲓᲘ,** 22 ივლისი. (საკ.). ᲑᲐᲓᲠᲐᲯᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ — ᲢᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ. ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲝᲛᲐᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲘᲗ.

## ᲛᲐᲢᲩᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲐ

**ᲒᲚᲔᲓᲘ,** 22 ივლისი. (საკ.). ᲑᲐᲓᲠᲐᲯᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ — ᲢᲐᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ